პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

03/04/2025

MES 6 25 0000373704

გადაწყვეტილება

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტების/ინტეგრირებული მოდულების განახლების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების პარამეტრებში ცვლილების შეტანის შესახებ

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს №80/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის საფუძველზე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინიცირებით რეგისტრირებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, "საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების (ბრძანება №95/ნ 2024 წლის 7 ივნისი) საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

ცვლილება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში, შევიდეს ცვლილებები დანართში მითითებულ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში და პროგრამების პარამეტრები ჩამოყალიბდეს დანართში მოცემული პარამეტრების შესაბამისად:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
2. სსიპ კოლეჯი "იბერია"

3. სსიპ კოლეჯი "თეთნულდი"
4. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
6. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
8. სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"
9. სსიპ კოლეჯი "სპექტრი
10. სსიპ კოლეჯი "მერმისი
11. სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"
12. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
13. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"
14. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი
15. სსიპ კასპის კოლეჯი
16. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
17. სსიპ კოლეჯი ,,აისი"
18. სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
19. ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი"
20. ა(ა)იპ კოლეჯი "იკაროსი" **(დანართი).**

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 3 აპრილის №371848 ოქმის პირველი საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული